

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ეროვნული ქსელის (ENNHRI) შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენი

2020 წლის ივლისი-სექტემბერი / **გამოცემა II**

შებლდული შესაძლებლობის მეორე პირთა უფლებების
დაცვა: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების,
რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების
მნიშვნელოვანი როლი



© საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია

ძვირფასო მკითხველო,

დიდი სიამოვნებით წარმოგიდგენთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენის მეორე გამოცემას (ივლისი-სექტემბერი). ბიულეტენი მოიცავს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალური აქტორების მუშაობის შესახებ, რომლებიც სამუშაო ჯგუფის დამკვირვებლები არიან, შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

საინფორმაციო ბიულეტენის პირველი გამოცემის მომზადება არ იყო მარტივი. საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რომელიც თავმჯდომარეობს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფს, ამ ამოცანას იღებს როგორც გამოწვევას, და ამავე დროს, როგორც უდიდეს პასუხისმგებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო ჯგუფი აერთიანებს 30-ზე მეტ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს და სხვა დამკვირვებლებს, მივიჩნიეთ, რომ საინფორმაციო ბიულეტენი ყველა ჩვენგანს დაეხმარებოდა მუშაობის უკეთ წარმართვასა და განვითარებაში.

ჩვენი მოლოდინები გამართლდა და სიამოვნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიულეტენის პირველი ნომერი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენ არაერთი პოზიტიური გამოხმაურება გვქონდა და, ვფიქრობთ, ამან არამარტო გაგვანთიანა როგორც სამუშაო ჯგუფი, საერთო მიზნისთვის, არამედ, ამავე დროს, გამოავლინა ადამიანის უფლებების თითოეული ეროვნული ინსტიტუტის დიდი ძალისხმევა და ეფექტიანი შრომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მაღლობა გადაგიხადოთ ბიულეტენის პირველ ნომერში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის. თქვენი სურვილისა და მონდომების გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა. პირველი ბიულეტენის წარმატებამ დამატებითი სტიმული და მოტივაცია მოგვცა მეორე გამოცემაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

საინფორმაციო ბიულეტენის წინამდებარე გამოცემაში მიმოხილულია COVID-19-ის პანდემიის პირობებში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლების მუშაობა სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ქსელებთან/ორგანიზაციებთან ერთად. იგი ასახავს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების/ქსელების მნიშვნელოვან როლს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. სიამოვნებით წარმოგიდგენთ ახალ თავს - „რესურსები“, რომელშიც გთავაზობთ ინფორმაციას სასარგებლო მასალების, პოლიტიკის დოკუმენტების, ანგარიშების, მოვლენების, სახელმძღვანელო პრინციპების და სხვა საკითხების შესახებ. ბიულეტენის გამრავალფეროვნების მიზნით, მომავალშიც ვაპირებთ ახალი თავების დამატებას.

ვიმედოვნებ, რომ თქვენთვის ბიულეტენის მეორე გამოცემა ინფორმაციული და სასარგებლო აღმოჩნდება. გთხოვთ, გაუზიაროთ იგი თქვენს კოლეგებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. დიდად დავაფასებთ ნებისმიერ გამოხმაურებას!

პატივისცემით,

ეკატერინე სხილაძე

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

COVID-19-თან დაკავშირებული სიახლეები - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შუამდგომლობის უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მუშაობა COVID-19-ის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

გამოვლენა და შესაბამისი ინფორმაციის მიტანა პასუხისმგებელ ორგანოებამდე. სახალხო ადვოკატმა საკუთარი ინიციატივით წამოიწყო არაერთი საქმის წარმოება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახალხო ადვოკატმა ადგილობრივ მთავრობას ბევრ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით მიმართა და ასევე გასცა რეკომენდაციები სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასების, ეკონომიკური დახმარების და ოჯახების მხარდაჭერისათვის საჭირო ზომების მისაღებად. 2020 წლის 17 ივლისს სახალხო ადვოკატის აპარატმა ონლაინ შეხვედრა გამართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. ომბუდსმენის ინსტიტუტის წარმომადგენელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებზე ისაუბრა. დეტალები იხილეთ [აქ](#).

ალბანეთი

ამ რთულ პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ალბანეთის სახალხო ადვოკატმა, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, ონლაინ მედიამონიტორინგის ჯგუფი დააარსა. ყოველდღიური მონიტორინგის ჯგუფების ძირითადი მიზანია შემთხვევებისა და სხვადასხვა პრობლემების

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისარი აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე. კომისარი განაგრძობს განაცხადებების მიღებას ფოსტით, ინტერნეტით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, 24/7 ცხელი ხაზებით, ასევე, Facebook-ისა და Twitter-ის საშუალებით. 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომი-



სარმა, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით, 114 საჩივარი მიიღო. საჩივრები დროულად განიხილეს, ჩატარდა ყველა საჭირო შემოწმება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, შესაბამისი ზომები მიიღეს. აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისარმა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა ამ პერიოდის განმავლობაში არაერთი ვიზიტი განახორციელეს, კერძოდ: საგანგებო ვიზიტი ქალაქგუბას მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონში; სკოლა-პანსიონებსა და ბავშვთა სახლებში ბაქოსა და განჯის, შეკის, გუბისა და ჯალილაბადის რეგიონული ცენტრების ქალაქებსა და რაიონებში; საგანგებო ვიზიტი ქალაქ განჯის ბავშვთა სახლში; №2 ფსიქიატრიულ საავადმყოფოში; საგანგებო ვიზიტი გუბას რაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიურ ცენტრში და ა.შ. იხილეთ დეტალური ინფორმაცია [აქ](#).

ბულგარეთი

საანგარიშო პერიოდში, ბულგარეთის რესპუბლიკის ომბუდსმენმა შშმ პირებისგან უამრავი საჩივარი მიიღო სოციალურ მომსახურებებთან დაკავშირებით. განმცხადებლების თქმით, სოციალური სამსახურები მათ წინასწარ არ აცნობენ საჭიროებების შეფასების ვადის ამოწურვის და ყოველთვიური ფინანსური ბენეფიტის შეჩერების შესახებ. შესაბამისად, ომბუდსმენმა შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრს, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების ვადების ამოწურვის შესახებ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მექანიზმების განსაზღვრისა და დანერგვის თაობაზე, რეკომენდაციით მიმართა. ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება ხანდაზმულ, უვადოდ დადგენილი მკვეთრად გამოხატული შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ იცავენ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს, განსაკუთრებით, არსებული პანდემიის ფონზე. დეტალები იხილეთ [აქ](#).

„[...] ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები აღიარებულნი არიან როგორც გაეროს ამ ჩარჩო მიდგომის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტორები, რაც მიუთითებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მნიშვნელოვან ფუნქციაზე მარგინალური და მოწყვლადი ჯგუფების კოვიდ 19-ის საპასუხოდ დაგეგმილ ღონისძიებებში რეალური გათვალისწინების ხელშეწყობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგის მიმართულებით. გარდა ამისა, ჩვენ ვიხილეთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალისხმევა მთავრობებისადმი რჩევების მიცემის, სახელმძღვანელო მითითებების გაცემის, მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის მხარდაჭერის, სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობის მიმართულებით.

ასაკო ოკაი

ოგენერალური მდივნის თანაშემწე და გაეროს განვითარების პროგრამის კრიზისების ბიუროს დირექტორი

სიტყვით გამოვიდა ონლაინ ღონისძიებაზე: „COVID-19-ის ადამიანის უფლებების განზომილებები: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი და გამოცდილება“.

66

ჩეხეთი

უფლებათა სახალხო დამცველმა (ომბუდსმენმა) გამოსცა რეგულარული კვარტალური [ბიულეტენი](#) და ასევე მოკლე ბროშურა მეურვეების უფლებამოსილების ფარგლების შესახებ. ამას გარდა, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, ზუზანა დურაშოვამ მონაწილეობა მიიღო ვებინარში: „შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი COVID-19-ის პანდემიის პირობებში“. მან ისაუბრა ჩეხეთის გამოცდილებასა და COVID-19-ის პირველი ტალღის გავლენაზე შშმ პირთა დაწესებულებების მონიტორინგის პროცესზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის საკითხები ასევე განიხილეს დაწესებულებებში, სხვა ექსპერტების მონაწილეობითაც. განხილვების მთავარი თემა იყო უსაფრთხოების ზომები ადგილზე ვიზიტების განხორციელების დროს. გარდა ამისა, არანებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაციის საკითხზე გაიმართა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა რეგულარული შეხვედრა. დეტალები იხილეთ [აქ](#).

კვიპროსი

ადამიანის უფლებების დაცვისა და ადმინისტრირების კომისარმა გამოაქვეყნა [„ინტერვენცია საკუთარი ინიციატივით“](#) (ხელმისაწვდომია ბერძნულ ენაზე), რომელიც ეხებოდა ექვს წელზე მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ პირბადე სავალდებულო გამოყენებას სკოლაში. კომისრის ინტერვენციის შემდეგ, შესაბამისმა სამინისტროებმა შეასრულეს რეკომენდაციები



ფოტო ადამიანის უფლებების ადმინისტრირებისა და დაცვის კომისიის Facebook-ისგან

და შეცვალეს გადანაცვტილება იმგვარად, რომ პირბადე სავალდებულო აღარ არის ექვსიდან თორმეტ წლამდე ბავშვებისთვის, აგრეთვე თორმეტ წელზე მეტი ასაკის სმენისა და განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებისთვის, ხოლო მასწავლებლებს, ამ შემთხვევებში, შეუძლიათ გამოიყენონ გამჭვირვალე პლასტიკური ნილაბი ან სახის ფარი, ბავშვებისთვის პირის მოძრაობის აღქმის გასაადვილებლად. 26 აგვისტოს კომისარმა და კომისრის ოფისის თანამშრომელმა შეხვედრა გამართეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

საქართველო

2020 წლის ივლისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში საკარანტინე სივრცეებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფოტო მონიტორინგის ერთ-ერთი ვიზიტისას

ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, [აღწერილია](#) ქვეყნის პრობლემებისა და აუტიზმის მქონე ბავშვების პრობლემები საკარანტინე სივრცეებში. რეკომენდაციის შემდეგ, კარანტინისა და თვითიზოლაციის წესების შესახებ მთავრობის დადგენილებაში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები, რომლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და შშმ ბავშვების ოჯახებს, სავალდებულო კარანტინის ნაცვლად, თვითიზოლაციის მოთხოვნა შეუძლიათ. 2020

წლის ივლისსა და აგვისტოში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგის ვიზიტები განახორციელეს შშმ პირთა 3 დიდ დაწესებულებაში (მარტყოფის, დუშეთის და ძეგრის პანსიონატებში). გარდა ამისა, კორონავირუსის შემთხვევების მზარდი რაოდენობის გამო, საქართველოს სახალხო დამცველმა გაავრცელა [განცხადება](#) და შესაბამის უწყებებს მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სახელმწიფო ბრუნვის დაწესებულებებში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის უფლების დაცვისათვის, გაეძლიერებინათ რისკების პრევენციის ზომები და დაკვირვებოდნენ შესაბამისი პრევენციის დადგენილი ღონისძიებების შესრულებას. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

ირლანდია

2020 წლის ივლისში ირლანდიის ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კომისიამ COVID-19-ზე რეაგირების საპარლამენტო კომიტეტს წარუდგინა ანგარიში [„შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე COVID-19-ის გავლენის შესახებ“](#). კომისიის შებლუდული შესაძლებლობის საკითხების საკონსულტაციო კომიტეტის განხილვების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ანგარიშში მიმოხილულია დისკრიმინაციისა და უფლებების შელახვის მნიშვნელოვანი რისკები, რაც კორონა ვირუსის პანდემიამ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ წარმოშვა. ანგარიშში ასახულია კომისიის რეკომენდაცია COVID-19-ზე რეაგირების დროს ადამიანის უფლებებსა და თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა სათანადო ინკლუზიას. 2020 წლის სექტემბერში კომისიამ COVID-19-ზე რეაგირების საპარლამენტო კომიტეტს ასევე წარუდგინა ანგარიში [„სახელმწიფო საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისობა COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების თვალსაზრისით და მომავალი პოტენციური ეროვნული კრიზისული სიტუაციები“](#). ანგარიშში აღნიშნულია, რომ პანდემიამ წარმოაჩინა ხარვეზები სახელმწიფოს საკანონმდებლო ჩარჩოში, მათ შორის, შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით. დოკუმენტი ასევე საუბრობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინფორმაციაზე წვდომის საკითხებზე. დეტალები იხილეთ [აქ](#).

[...] ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი აქტორებისათვის დიალოგისათვის საჭირო სივრცის შექმნა შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს კონსულტაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს შეუძლიათ, თავიანთი მანდატის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების დასაბუთების მოთხოვნა იმ დროს, როდესაც სხვა საზედამხედველო ორგანოები ჩუმადარიან. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ასეთი ქმედება, რომელიც ყველას აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების საფუძვლებს, განამტკიცებს სახელმწიფოს დემოკრატიულ სტრუქტურას. ეს კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეროვნული (და გლობალური) გაურკვევლობის დროს.

**უეთოს დემოკრატიული
ინსტიტუტებისა და
ადამიანის უფლებათა
ოფისის (ODIHR)
სახელმძღვანელო
დოკუმენტი ადამიანის
უფლებათა ეროვნული
ინსტიტუტებისათვის**

ჩრდილოეთ ირლანდია

ივლისში ჩრდილოეთ ირლანდიის ადამიანის უფლებათა კომისარმა, ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის კომისიასთან პარტნიორობით, წერილობითი მტკიცებულებები წარადგინა „COVID-19-ის, შებლუდული შესაძლებლობისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ“ გაერთიანებული სამეფოს ქალთა და

თანასწორობის საკითხების საპარლამენტო კომიტეტის ანგარიშთან დაკავშირებით. იხილეთ წერილობითი მტკიცებულებები [აქ](#).

ჩრდილოეთ მაკედონია

COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ, სახელმწიფო მრჩეველი შშმ პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის საკითხებში, აქტიურად აკვირდებოდა მთავრობის მიერ კრიზისის საპასუხოდ განხორციელებულ ქმედებებს. გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მოწყვლად და მარგინალურ ჯგუფებზე - შშმ პირებსა და სოციალურად დაუცველ პირებზე. მონიტორინგის ჯგუფმა ასევე ჩაატარა რამდენიმე კვლევა, კერძოდ: პანდემიის დროს მზრუნველობით დანესებულებებში მოთავსებულ და ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა/პირთა უფლებების დაცვისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ, ასევე დისტანციური სწავლების მეთოდისა და გამოწვევების შესახებ, განსაკუთრებული აქცენტით შშმ მოსწავლეებზე (ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებულ სკოლებში). ომბუდსმენმა ასევე გაავრცელა განცხადება, რომელიც ასახავდა მოსაზრებებს, სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს, და განათლების სამინისტროს, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებს მიმართავდა, რათა კრიზისის საპასუხოდ, უზრუნველყოთ გაეროს კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

მოტლანდია

კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში „[COVID-19-ის, სოციალური დაცვისა და ადამიანის უფლებების შესახებ](#)“. ანგარიშში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც სარგებლობდნენ სოციალური მხარდაჭერით სახლში, პანდემიის დროს ეს მხარდაჭერა ან მთლიანად მოეხსნათ, ან შეუმცირდათ. შესაბამისად, კომისიამ საჯარო ორგანოებს მოუწოდა, მხარდაჭერის პაკეტი იმავე სახით აღედგინათ, რა სახითაც პანდემიამდე

არსებობდა. კომისიამ ასევე გამოაქვეყნა [ინფორმაცია COVID-19-ის პანდემიის დროს სამზრუნველო სახლებში მდგომარეობის და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ](#), რომელშიც ასახულია ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩოები შოტლანდიის სამზრუნველო სახლებში წარმოქმნილ საკითხებთან მიმართებით და დეტალურად აღწერს ადამიანის უფლებათა შესახებ კანონის მოთხოვნებს ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად. ამას გარდა, კომისიამ წერილობით მიმართა [შოტლანდიის სამზრუნველო სახლების კლინიკურ და პროფესიულ მრჩეველთა ჯგუფს](#), რომელშიც ასახული იყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ COVID-19-ის პირობებში სამზრუნველო სახლებში ვიზიტორთა მიღების წესების შემუშავებისას.

სლოვენია

სლოვენიის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა ომბუდსმენმა ბოლო თვეების განმავლობაში ინტენსიური სამუშაოები ჩაატარა. ომბუდსმენმა რამდენიმე რეკომენდაცია გასცა მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ COVID-19-თან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე. კერძოდ: პირბადის სავალდებულო გამოყენება, სამზრუნველო დანესებულებებში წარმოშობილი საკითხები, სამუშაო და მძიმე გონებრივი ჩამორჩენისა და ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთა სასწავლო დანესებულებებსა და სამუშაო ცენტრებში მომსახურების მიწოდება. ომბუდსმენმა კრიტიკულად შეაფასა ინფექციის შესაძლო გავრცელება დამცავი პალატების გადატვირთულობისა და წითელი ზონების შექმნის შესაძლებლობის არარსებობის გამო. ომბუდსმენმა მოითხოვა სწრაფი და ეფექტიანი ზომების მიღება სოციალურ სამზრუნველო დანესებულებებში კორონავირუსის ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ომბუდსმენმა ასევე გაამახვილა ყურადღება სხვადასხვა ქრონიკული, აუტოიმუნური, იშვიათი და სხვა დაავადებების მქონე ბავშვების სპეციფიკურ საჭიროებებზე, რაც მათ კიდევ უფრო დაუცველებს ხდის კორონავირუსული ინფექციის მიმართ. მან რეკომენდაცია გასცა ხელისუფლების მიმართ და მათ ადანაწევრებულების მიღების პროცესში

სხვადასხვა პროფილის იმ სამედიცინო სპეციალისტების, ასევე პედაგოგიური პერსონალის ჩართვისკენ მოუწოდა, რომლებსაც საბოლოოდ უნევთ მიღებული ზომების განხორციელება. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის მუშაობა შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

2020 წლის 23 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოაწვეს ონლაინ ვებინარი თემაზე: „შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი

COVID-19-ის პანდემიის პირობებში“. ღონისძიება მიეძღვნა პანდემიისადმი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, შშმ პირთა განთავსების ადგილებში მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენასა და ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას. შეხვედრამ შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებს საშუალება მისცა პანდემიის პირობებში მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებზე უშუალოდ გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა (CPT) და შშმ პირთა უფლებების ევროპული ფორუმის (EDF) წარმომადგენელთაგან მიეღოთ ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია მონიტორინგის მიმართულებით მათი საქმიანობის შესახებ. ღონისძიების ჩანაწერის სანახავად მიყევით [ბმულს](#), სხვა დეტალები იხილეთ [აქ](#).

2020 წლის 23 სექტემბერს გაბარებული ონლაინ ვებინარის ფოტო



საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ინიციატივით, ჯგუფის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, პირველი საინფორმაციო ბიულეტენი გამოქვეყნდა. ბიულეტენი ასახავს როგორც ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლების საქმიანობას, ისე საერ-

თაშორისო და რეგიონალურ სიახლეებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით. ბიულეტენის პირველი გამოცემა მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობას პანდემიის პირობებში. იხილეთ ბიულეტენის პირველი გამოცემა [აქ](#).

რეგიონალური და საერთაშორისო აქტორების მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

რეგიონალური და საერთაშორისო აქტორები სწრაფად პასუხობდნენ COVID-19-ის გამოწვევებს. მიღებულ იქნა სხვადასხვა დოკუმენტი და შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი დაინტერესებული

მხარეების მიერ პანდემიის დროს ადამიანის უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ბევრმა რეგიონულმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა მნიშვნელოვანი და ძალიან სასარგებლო ონლაინ ღონისძიებები, რაც ფართო საზოგადოებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ამგვარმა ღონისძიებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მხარდაჭერაში, სხვა აქტორებთან ერთად, მათი საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით.

66

„[...] ამ პანდემიის უსაფრთხოდ სამართავად, მეტი გაძლიერება და მეტი მონაწილეობა გვჭირდება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სისტემები, რათა დავიცვათ და ვიზრუნოთ ადამიანებზე, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის უდიდესი რესურსი და ძირითადი საფუძველია, რაც მართლა ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ სწორი, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რათა შევამციროთ COVID-19-ის დამანგრეველი სოციალური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული შედეგები - და აღვადგინოთ მდგრადი და სამართლიანი საზოგადოებები. კრიზისების ეფექტიანად სამართავად, ყველას გვჭირდება არა მხოლოდ ეროვნული, არამედ რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც პრიორიტეტს მიანიჭებს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ გლობალური მხარდაჭერა მდგრადი, ინკლუზიური და კლიმატის მიმართ მგრძნობიარე განვითარების ხელშესაწყობად - როგორც სახლში, ისე მთელ მსოფლიოში. რადგან კერავინ იქნება უსაფრთხოდ, თუ ყველა არ იქნება უსაფრთხოდ [...]“

ადამიანის უფლებების მომავალი მსოფლიოში COVID-19-ის შემდეგ

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, მიშელ ბაჩელეტის განცხადება

გაერთიანებული ერები

გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა 23-ე სხდომა გამართა. COVID-19-ის პანდემიის გამო ონლაინ ფორმატით ჩატარებულ სესიას, წევრი სახელმწიფოების მიერ გაეროს შშმპირთა უფლებების კონვენციის შესრულების მიმოხილვა არ მოუცავს. სხვა საკითხებს შორის, კომიტეტმა განიხილა

პანდემია და მისი დამანგრეველი გავლენა შშმ პირთა და მათი ოჯახების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. სესიაზე ძირითადი აქცენტები შემდეგ საკითხებზე გაკეთდა: შშმ პირთა დეინსტიტუციონალიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნა; შშმ პირთა უფლებების კონვენციის 27-ე მუხლის (შრომა და დასაქმება) შესახებ ზოგადი კომენტარის შემუშავების პროცესში მიღწეული პროგრესი, შშმ პირთა ორგანიზაციების და ადამიანის უფლებათა

ეროვნული ინსტიტუტების მუშაობის და წვლილის აღიარება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფმა ვიდუო მიმართვა წარმოადგინა. კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება მომავალ წელს, 8-დან 26 მარტამდე (დასადასტურებელია). დეტალური ინფორმაცია და დოკუმენტები იხილეთ [აქ](#).

კომიტეტმა, 2020 წლის 7-დან 18 სექტემბრამდე, ასევე დისტანციურად/ონლაინ გამართა მე-14 წინასასესიო სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. სხდომამ, რომელსაც ზეპირი ბრიფინგის სახე ჰქონდა, და მასში მონაწილეობდნენ კომიტეტის წინასასესიო სამუშაო ჯგუფის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, წინასაანგარიშო საკითხთა სია შეიმუშავა. დეტალები იხილეთ [აქ](#).

მისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შშმ პირთა უფლებების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის, შშმ პირთა უფლებების კომიტეტისა და შშმ პირთა უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა მოამზადა. დანვრილებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

სპეციალურმა მომხსენებელმა შშმ პირთა უფლებების საკითხებზე (ყოფილი მომხსენებელი, ქალბატონი კატალინა დევანდას აგილარი) გენერალური ასამბლეის 75-ესესიაზე წარადგინა მოხსენება ინკლუზიური საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. ანგარიშში გაანალიზებულია საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელების ხელშესაწყობად. ანგარიში სახელმწიფოებს სთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს საერთაშორისო თანამშრომლობის შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. დეტალები იხილეთ [აქ](#).

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა და შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, შშმ ქალებისა და გოგონების მიმართ სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის შესახებ, ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. იხილეთ [აქ](#).

2020 წლის ოქტომბერში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, სპეციალურ მომხსენებელად შშმ პირთა უფლებების საკითხებში, ჯერარდ ქვინი აირჩია. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა ქალბატონი კატალინა დევანდას აგილარი, რომელიც 2014-დან 2020 წლამდე, დამსახურებულად ატარებდა სპეციალური მომხსენებლის სტატუსს. იხილეთ მისტერ ქვინის ბიოგრაფია და გამოცდილება [აქ](#). ატარებდა სპეციალური მომხსენებლის სტატუსს. იხილეთ მისტერ ქვინის ბიოგრაფია და გამოცდილება [აქ](#).

გაეროს ექსპერტებმა გამოაქვეყნეს სახელმძღვანელო მითითებები შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ. სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს ქვეყნების დახმარებას მართლმსაჯულების სისტემების განვითარებაში, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთა წვდომას მართლმსაჯულებაზე სხვების თანასწორად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. [შშმ პირთათვის მართლმსაჯულების](#)

„[ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები] მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მუდმივი გამოწვევების, მათ შორის, დისკრიმინაციისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ახალ პრობლემებთან ბრძოლის თვალსაზრისით, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტისა და COVID-19-ის პანდემიის გავლენა ადამიანის უფლებებზე“.

მაიკლ ო'ფლერტი

ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს დირექტორი

ევროკავშირი

ოქტომბერში ევროკომისიამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2021-2030 წლების სტრატეგიის საორიენტაციო რუკა გამოაქვეყნა. ევროკავშირი საორიენტაციო რუკის დამტკიცებას 2021 წლის პირველ კვარტალში გეგმავს. სტრატეგია მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის უზრუნველყოფას სხვების თანასწორად და დისკრიმინაციისგან თავისუფალი ცხოვრების ხელშეწყობას. აქცენტი გაკეთდება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულებაზე და ევროკავშირის ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის კონსოლიდაციაზე. დეტალები იხილეთ [აქ](#).

თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (Equinet)

17 აგვისტოს, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი [გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის 23-ე სესიის გახსნის სხდომაზე წარდგა](#), ხოლო 19 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულ მხარეთა კერძო შეხვედრაში, რომელიც COVID-19-ის პანდემიის დროს ეროვნული თანასწორობის ორგანოების აქტივობებს ეხებოდა. 2020 წლის 28 ივლისს თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა [პირველი წერილობითი შენიშვნები წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში](#) შემდეგ საქმეებთან დაკავშირებით: 2. [34591/19 და 42545/19 – „ფრანკ ტოპლაკი სლოვენის წინააღმდეგ“ და „იზტოკ მრაკი სლოვენის წინააღმდეგ“](#). საქმეები ეხება ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომას საარჩევნო უბნებზე. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლო არსებითად განიხილავს შშმ პირთათვის საარჩევნო უბნების ფიზიკური მისაწვდომობის სტრუქტურულ პრობლემას და სახელმწიფოების პოზიტიურ მოვალეობას, უზრუნველყონ ეფექტიანი წვდომა. სექტემბრის დასაწყისში თანასწორობის ორგანოების

ევროპული ქსელის თანასწორობის კანონის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა გამოაქვეყნა [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეების კრებული, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით განხილულ საქმეებს](#).

სიახლეები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლების შესახებ, რომლებიც არ უკავშირდება COVID-19-ს

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისარმა (ომბუდსმენმა) შექმნა შშმ პირთა უფლებების დაცვის განყოფილება, რომელიც შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტდა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა კომისარმა, სამედიცინო ცენტრ „Briut“-თან ერთად დაიწყო ახალი ფსიქოლოგიური დახმარების პროექტი, რომლის მიზანია სომხეთის მოსაზღვრე, ფრონტისპირა რაიონებში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონების მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. გარდა ამისა, კომისარმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობასთან ერთად დაიწყო ახალი პროექტი, რომლის მთავარი მიზანია საგანმანათლებლო, სამედიცინო, სამზრუნველო და სასტუმარსრულების დანერგულებებისა და თავშესაფრების მონიტორინგი. დეტალები იხილეთ [აქ](#).

ბულგარეთი

ბულგარეთის რესპუბლიკის ომბუდსმენი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით და საკუთარი მოსაზრებები

წარუდგინა შესაბამის ორგანოებს. აღსანიშნავია, რომ ომბუდსმენმა ჯანდაცვის მინისტრს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების მარეგულირებელ სამედიცინო საექსპერტო შეფასების რეგლამენტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მიმართა. გარდა ამისა, ომბუდსმენმა, სოციალური დაზღვევის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკუთარი მოსაზრება გაუგზავნა შრომის, სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს. ომბუდსმენმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო ეფექტიანი ზომების მიღება სამედიცინო საექსპერტო შეფასების პროცედურის გაუმჯობესების მიზნით, იმ მოქალაქეთა უფლებების შეუღალავად, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა დაავადება და შეზღუდული შესაძლებლობა და რეალურად საჭიროებენ სოციალურ მხარდაჭერას. ომბუდსმენმა ასევე გამოთქვა საკუთარი მოსაზრება ბულგარეთის „ჟესტების ენის შესახებ აქტის“ პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც ბულგარეთში სმენის პრობლემის მქონე პირები დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდნენ. სმენის პრობლემის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ჟესტების ენის თარჯიმნებთან დისკუსიის შემდეგ, ომბუდსმენმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მიმართა, რომლებიც კანონპროექტით სათანადოდ არ იყო დარეგულირებული და რომლებიც უფლებების დარღვევის წინაპირობებს ქმნიდნენ. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

კვიპროსი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ადმინისტრირების კომისარმა (ომბუდსმენმა), მისი, როგორც გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების ხელშეწყობის, დაცვისა და მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის იურისდიქციის ფარგლებში, გამოაქვეყნა 2017-2018-2019 წლების საქმიანობის ანგარიში. ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#) ([ინგლისურ](#) და [ბერძნულ](#) ენებზე). გარდა ამისა, გამოქვეყნდა არაერთი ანგარიში, კერძოდ, [ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახელმწიფო საავადმყოფოების გარეთ](#)

[მკურნალობის სუბსიდირების შესახებ](#) (ხელმისაწვდომია ბერძნულ ენაზე), [ანგარიში ნევროლოგიური პრობლემების მქონე ბავშვების გამოკვლევების სტრუქტურის შექმნის შესახებ მაკარიოს საავადმყოფოში](#) (ხელმისაწვდომია ბერძნულ ენაზე) და [ანგარიში კერძო განათლებაში ჩართული შშმ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის პერსონალური ასისტენტის დანიშვნის შესახებ](#) (ბერძნულ ენაზე). აღსანიშნავია, რომ თანასწორობის ორგანოების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და თანასწორობის ხელშეწყობის კარგი პრაქტიკის პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა [სპეციალური ვებგვერდი](#). ამ კონტექსტში თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა კარგი პრაქტიკის მაგალითად აირჩია ადამიანის უფლებების დაცვისა და ადმინისტრირების კომისიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ზღვის სანაპიროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

ჩეხეთი

სექტემბერში სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის საკონსულტაციო ორგანოს ახლად არჩეული 19 წევრი პირველად შეიკრიბა. დისკუსიის თემა იყო მათი როლი გაეროს კომიტეტისთვის წარსადგენ, მომავალი წლის ალტერნატიული ანგარიშის მომზადებაში. ინსტიტუტმა ასევე გამოაქვეყნა კვლევა [„ავტონომიის გზაჯარედინები“](#), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. კვლევაში გაანალიზებულია სასამართლოების პრაქტიკა ქმედუნარიანობის საკითხის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხებზე განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ომბუდსმენმა ასევე გამოაქვეყნა [რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მშობლების უფლებების დაცვის, მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებების დაცვის შესახებ](#). ამას გარდა, სახალხო დამცველმა დაიწყო მუშაობა კვლევაზე იმ ბარიერების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირთა დამოუკიდებელ, მათ შორის, მშობლებისგან დამოუკიდებელ ცხოვრებას. იხილეთ [აქ](#).

საფრანგეთი

2011 წელს უფლებების დამცველი (CIDPH), მთავრობის მიერ განისაზღვრა როგორც დამოუკიდებელი მექანიზმი, შშმ პირთა კონვენციის 33.2-ე მუხლის შესაბამისად. იგი ეროვნული მექანიზმის ფარგლებში ასრულებს კონვენციის დაცვის, ხელშეწყობისა და შესრულების მონიტორინგის მისიას. საფრანგეთში შშმ პირთა კონვენციის ძალაში შესვლიდან ათი წლის შემდეგ, უფლებათა დამცველმა გამოაქვეყნა კონვენციის შესრულების შეფასების [პირველი ანგარიში](#). დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).


საქართველო

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობის პროცესში, მათ შორის, გაეროს შშმ პირთა კონვენციის განხორციელების სახელმწიფო საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის და შშმ პირთა უფლებების გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით. სახალხო დამცველი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდა შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. 2020 წლის 13 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა ჩაატარა სპეციალური ანგარიშის, „ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში“, [ონლაინ პრეზენტაცია](#). ანგარიში ეფუძნება 12 ფსიქიატრიულ სტაციონარში, შშმ პირთა 3 პანსიონატსა და 6 სათემო ორგანიზაციაში

ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს. 2020 წლის 14 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა გაავრცელა [განცხადება](#) „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების თაობაზე. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა არასაკმარის მცდელობებზე შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების თანასწორი, სრული და ეფექტიანი ჩართვის უზრუნველსაყოფად, კანონპროექტის შემუშავებისა და განხილვის პროცესში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

ირლანდია

ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიამ მისი ბოლოს დანიშნული ორი წევრი - ორივე შებლდული შესაძლებლობის მქონე პირი - შეარჩია შებლდული შესაძლებლობის საკითხების საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარედ და ვიცე-თავმჯდომარედ. დოქტორი როზალინ მაკდონა დაინიშნა თავმჯდომარედ, ხოლო ბატონი ადამ ჰარისი დაინიშნა ვიცე-თავმჯდომარედ. მათი ბიოგრაფიები შეგიძლიათ იხილოთ [ihrec.ie](#)-ზე. კომიტეტი 2 სექტემბერს შეიკრიბა და განიხილა გაეროს შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 25-ე მუხლთან (ჯანმრთელობა) დაკავშირებული საკითხები და მუხლით დაცული უფლების დაცვის მდგომარეობა ირლანდიაში, ხოლო 7 ოქტომბრის შეხვედრაზე განიხილა მე-7 მუხლთან (შებლდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები) დაკავშირებული საკითხები და ამ უფლების დაცვის მდგომარეობა ირლანდიაში.



სლოვენია

ომბუდსმენმა განაგრძო მცდელობები შშმ პირთა უფლებების კონვენციის ეფექტიანი პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის მიზნით დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის და დეინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობისკენ ყურადღების მისაპყრობად, ასევე მხარი დაუჭირა სლოვენიური ჟესტების ენის შესახებ სლოვენიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთების ინიციატივას. 2020 წლის სექტემბერში ომბუდსმენმა ევროპის საბჭოს წარუდგინა „ევროპული სოციალური ქარტიის“ განხორციელების შესახებ მე-19 ეროვნული ანგარიშის კომენტარები. წარდგინებაში შეტანილი იყო რამდენიმე საკითხი შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფერხებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და

კომუნიკაციებზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადეკვატური, ხელმისაწვდომი და მისაღები სერვისების უზრუნველყოფის მხრივ არსებული ხარვეზები. გარდა ამისა, ომბუდსმენმა შეისწავლა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის დახმარების განვების საკითხი. ომბუდსმენმა ასევე ჩაატარა ორდღიანი კონსულტაცია და ტრენინგი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის შესახებ იმ პირებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც „ბავშვთა ადვოკატები“ ომბუდსმენის სპეციალურ პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისთვის ექსპერტული დახმარების განვას, მათთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. დეტალური ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

რესურსები

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 44-ე სესიაზე წარადგინა ანგარიში კლიმატის ცვლილებასა და შშმ პირთა მიერ უფლებებით სრულად და ეფექტიანად სარგებლობას შორის კავშირის შესახებ. ანგარიშში გაანალიზებულია კლიმატის ცვლილების გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და სახელმწიფოსა და სხვა აქტორების პასუხისმგებლობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ინკლუზიური მიდგომებისა და ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენის თვალსაზრისით. ანგარიშის მთავარი დასკვნის მიხედვით, სიღარიბე, სტიგმა და დისკრიმინაცია ის სამი ძირითადი კომპონენტია, რომლებიც ზრდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაუცველობას კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ. ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო ალიანსმა (IDA), პარტნიორებთან ერთად, შშმ პირებზე [COVID-19-ის გავლენის საპასუხოდ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების დამოუკიდებელი მონიტორინგი ჩაატარა](#). დამკვირვებლების დასკვნების თანახმად, ქვეყნებმა „უმეტესწილად ვერ მიიღეს საკმარისი ზომები შშმ პირთა უფლებების დასაცავად პანდემის დროს“. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო

ალიანსი, პარტნიორებთან ერთად, მსოფლიოს აფრთხილებს COVID-19-ის გამანადგურებელი გავლენის შესახებ, შშმ პირთა უფლებებზე და შესაბამის აქტორებს მოუწოდებს, სასწრაფოდ მიიღონ შესაბამისი ზომები. შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო ალიანსმა, შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო და განვითარების კონსორციუმთან (IDDC) პარტნიორობით, მოაწყო ვებინართა სერია თემაზე - COVID-19-ზე რეაგირების ზომების შესაბამისობა შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან. პირველი ვებინარი ეხებოდა დისკრიმინაციის აკრძალვას, მისაწვდომობასა და კრიზისულ ადგილებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობას, ხოლო მეორე ვებინარზე განიხილეს პანდემიის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების განათლების უფლებაზე, ინკლუზიური სოციალური დაცვის სქემა და წვდომა ჯანმრთელობასა და გადაუდებელი დახმარების სერვისებზე. ორივე ვებინარის ჩანაწერი, სხვა მასალებთან ერთად, იხილეთ [აქ](#).

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისათვის გამოაქვეყნა [სახელმძღვანელო დოკუმენტი საგანგებო ვითარებაში მუშაობის შესახებ](#). დოკუმენტი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების დახმარებას თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში, საგანგებო სიტუაციების დროს და შემდგომ პერიოდში.



თუ გსურთ გაგვიზიაროთ ინფორმაცია თქვენი საქმიანობის შესახებ, ან გაქვთ რაიმე შეკითხვა, დაუკავშირდით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს:

nberishvili@ombudsman.ge